პროექტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

და შეფასების მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდეგში - უნივერსიტეტი) თავის საქმიანობას წარმართავს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის, საქართველოს კანონმდებლობის და ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს;

2. უნივერსიტეტი აღიარებს ინტერნაციონალიზაციას, როგორც გლობალური განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებში. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ეხმიანება უნივერსიტეტის ხედვას, მისიას და საერთო საუნივერსიტეტო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია;

3. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს პერმანენტულ და ამავდროულად, გამჭოლ პროცესს, რომელშიც ჩართულია შიდა სტუქტურული ერთეულები; საერთაშორისო პარტნიორები; სტუდენტები; აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი. ინტერნაციონალიზაციის შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროში.

მუხლი 2. უნივერსიტეტის ამოცანები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით

2.1. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის ამოცანებია:

ა) სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაცია;

ბ) კვლევის ინტერნაციონალიზაცია;

გ) საერთაშორისო აღიარებისა და ცნობადობის გაზრდა.

2.2. ინტერნაციონალიზაციის ამოცანების მისაღწევად უნივერსიტეტი თავის პოლიტიკას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

2.2.1. მხარს უჭერს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და ინოვაციური პროექტების განხორციელებას;

2.2.2. ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, ერთობლივი პროგრამების, პროექტების, უცხოურენოვანი პროგრამების განვითარებასა და სხვა საერთაშორისო აქტივობებს;

2.2.3. ხელს უწყობს და ავითარებს სტუდენტების; ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო მობილობას;

2.2.4. ახორციელებს უცხოელი ხარისხის მაძიებელი სტუდენტების მოზიდვას და მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში;

2.2.5. ხელს უწყობს რეიტინგულ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში უნივერსიტეტის გაწევრიანებას და ამგვარად, უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას;

2.2.6. უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე;

2.2.7. ხელს უწყობს ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ინტეგრაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში.

მუხლი 3. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნების შესრულებას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც მიესადაგება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის ამოცანებს.

მუხლი 4. სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები

სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების გამოყენებით უნივერსიტეტი:

4.1. ხელს უწყობს ერთობლივი პროგრამების, პროექტებისა და უცხოურენოვანი პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას;

4.2. დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ზრდის უცხოურ ენაზე შეთავაზებული პროგრამებისა და სასწავლო კურსების რაოდენობას;

4.3. სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს უცხოური ლიტერატურის, საერთაშორისო ქეისებისა და მეთოდოლოგიის დანერგვას;

4.4. უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების შედეგების გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას და აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით ახორციელებს სასწავლო კურსების მუდმივ განახლებას;

4.5. გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციას;

4.6. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ახორციელებს ერთობლივ პროგრამებს;

4.7. ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნესსექტორთან ურთიერთობაში სწავლის, სტაჟირების, კვლევის და სხვა მსგავსი აქტივობების შეთავაზებებით;

4.8. შესაბამისი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს საერთაშორისო სპეციალისტების და მომხსენებლების მოწვევას საჯარო ლექციების და მასტერ კლასების ჩასატარებლად;

4.9. საჭიროების შემთხვევაში, მოიპოვებს დონორების დაფინანსებას ცალკეული პროგრამებისა და სასწავლო კურსების განვითარების მიზნით;

4.10. ახდენს საერთაშორისო მობილობის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას, ხელს უწყობს და ავითარებს სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალის მობილობას საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად.;

4.11. ახორციელებს მობილობის მხარდამჭერი პროგრამების, კონკურსების და სხვა შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის მომზადებას, გავრცელებასა და კონსულტაციას სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან;

4.12. ახორციელებს სტუდენტობის მსურველი უცხოელი აპლიკანტების მოზიდვას და მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში;

4.13. საერთაშორისო სააგენტოებთან, შუამავალ აგენტებთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებით, ახორციელებს სტუდენტობის მსურველი უცხოელი აპლიკანტების მოზიდვას;

4.14. ჩართულია პროგრამაში “ისწავლე საქართველოში” და თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან და საკონსულოებთან;

4.15. სთავაზობს უცხოელებს ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობას და ინტეგრაციის მიზნით გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებას;

4.16. ხელს უწყობს საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზებას;

4.17. ხელს უწყობს უცხოურ ენებთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებას სწავლა-სწავლების პროცესში.

4.18. ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვასა და განვითარებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მუხლი 5. კვლევის ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და წარმატებული სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას, სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებებს შორის კვლევის შედეგების გაზიარებას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

5.1. საერთაშორისო აკადემიური მობილობით (ფიზიკური), რაც გულისხმობს სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის მიერ კვლევის განხორციელების მიზნით, გარკვეული პერიოდით საზღვარგარეთის უნივერსიტეტში მოღვაწეობას ან, პირიქით, უცხოური უნივერსიტეტებიდან უნივერსიტეტში მსგავსი გამოცდილების მიღებას. უნივერსიტეტს აღნიშნული მექანიზმის განსახორციელებლად გააჩნია შემდეგი ინსტრუმენტები:

5.1.1. მასპინძელ უნივერსიტეტებთან ინტერინსტიტუციური ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის გამავალი საერთაშორისო მობილობისთვის თანადაფინანსება;

5.1.2. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამავალი და შემომავალი საერთაშორისო მობილობისთვის ერაზმუს+ და სხვა შესაბამისი საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება;

5.1.3. საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი/საგრანტო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, მათ შორის, პარტნიორების მოძიებაზე ზრუნვა, კონსორციუმის შეკვრა, პროექტების მომზადება და დაფინანსების მოსაპოვებლად მათი ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო ფონდებში წარდგენა;

5.1.4. სხვა ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების მხრიდან უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში პარტნიორად ჩართვის ხელშეწყობა;

5.1.5. საგრანტო პროექტების მიღმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, ვორქშოპების, სიმპოზიუმების ორგანიზება და თანაორგანიზება;

5.1.6. ადგილობრივი თუ უცხოური უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა;

5.1.7. კვლევითი ინსტიტუტების მიერ საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების შექმნა და არსებულების განვითარება;

5.1.8. ინდივიდუალური საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის, მათ შორის, კვლევის თანაავტორობის ხელშეწყობის მიზნით, უცხოელ მეცნიერებთან და დარგის სპეციალისტებთან პროფესიული კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა;

5.1.9. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, წამყვან უცხოურ კვლევით ინსტიტუტებთან და კვლევითი პროფილის უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

მუხლი 6. უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარებისა და ცნობადობის ზრდის მექანიზმები

საერთაშორისო აღაირებისა და ცნობადობის ზრდას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

6.1. პარტნიორული ურთიერთობების დამყარება მსოფლიოს წამყვან ინსტიტუციებთან, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროფილის მიხედვით;

6.2. წამყვან საერთაშორისო კვლევით კოლაბორაციებში, ასოციაციებსა და პროფესიულ ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანების ხელშეწყობა;

6.3. პრიორიტეტული სარეიტინგო სისტემების განსაზღვრა და საერთაშორისო რეიტინგებში წამყვანი პოზიციის დამკვიდრებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება;

6.4. იმ პროგრამების იდენტიფიცირება, რომლებზეც უნივერსიტეტს სურს ახალი საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება და შესაბამისი პროცესის დაგეგმვა;

6.5. უცხო ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებთან მათ მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაში დასარეგისტრირებლად მიზნობრივი მუშაობის წარმართვა;

6.6. უცხოურ კვლევით ცენტრებთან, დიპლომატიურ კორპუსთან, დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

6.7. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე მუდმივი ზრუნვა;

6.8. საერთაშორისო პარტნიორებთან მუდმივი კომუნიკაცია და უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეებისა და ახალი ინიციატივების შესახებ ინფორმაციის გაზიარება;

6.9. სხვადსხვა საერთაშორისო კონფერენციებში, საგანმანათლებლო კვირეულებში, ფორუმებში, მასტერკლასებში, გამოფენებში და დასაქმების ფორუმებში უნივერსიტეტის მონაწილეობის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო და კვლევით სფეროში ინოვაციების მოძიებისა და, ამავდროულად, ახალი პარტნიორული კავშირების დამყარების მიზნით;

6.10. არსებული კავშირების შენარჩუნება საერთაშორისო კურსდამთავრებულებთან და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით ახალი პარტნიორების მოძიება;

6.11. სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვა უცხოელი სტუდენტების ჩართულობით;

6.12. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა.

მუხლი 7. ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების შესაფასებლად, უნივერსიტეტში დანერგილია შემდეგი მექანიზმები:

7.1. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი - უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და მექანიზმების განხორციელება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმით. სამოქმედო გეგმა ექვემდებარება მონიტორინგს, რომლის დროსაც ხდება საანგარიშო პერიოდში და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანებისა და აქტივობების შესრულების მონიტორინგი მათი შესრულების მაჩვენებელების/ინდიკატორებისა და გადამოწმების წყაროების მეშვეობით;

7.2. სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

7.3. სტუდენტთა მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტში ანგარიშგების გზით და, ასევე, მასპინძელი უნივერსიტეტისათვის მის მიერ წარმოდგენილი კითხვარის შევსებით;

7.4. პერსონალის მიერ საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შეფასება, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტში ანგარიშგების გზით და, ასევე, მასპინძელი უნივერსიტეტისათვის მის მიერ წარმოდგენილი კითხვარის შევსებით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. დოკუმენტი ძალაშია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან;

8.2. დოკუმენტის გაუქმება ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია დადგენილი წესის შესაბამისად.